ჰამასი - ისტორია, აწმყო და სამომავლო პერსპექტივები

GCSD TRC

თბილისი 2020

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპებს.

საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრთან არსებული ტერორიზმის კვლევის ცენტრი არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

ავტორი: ჟანა სირბილაძე
კვლევის ხელმძღვანელი: მარიამ თოხაძე
რედაქტორები: ქეთევან სართანია, გიორგი გოგუაძე
დოკუმენტის დიზაინი: თამუნა არბოლიშვილი

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

შესავალი

ჰამასი ისლამისტური, ფუნდამენტალისტური, პოლიტიკურ-სამხედრო ორგანზიაციაა, რომელიც 1987 წელს, ღაზას სექტორში დაარსდა - ეგვიპტური მუსლიმთა საძმოს ადგილობრივ ფრთად, პირველი ინტიფადას (პალესტინური წინააღმდეგობრივი მოძრაობა) დაწყებისას. მას შემდეგ, ჰამასი, საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, აქტიურად ებრძვის ისრაელს - ძირითადად, მშვიდობიან მოსახლეობაზე მასობრივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური იერიშის მიტანით. შესაბამისად, მთელ რიგ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს ჰამასი, როგორც ერთი მთლიანობა ან მისი სამხედრო ფრთა, შეყვანილი ჰყავთ ტერორისტული ორგანიზაციების სიაში (BBC News, 2017).

2006 წელს, ჰამასმა პალესტინური საკანონმდებლო საბჭოს არჩევნებში მოიპოვა უმრავლესობა და 2007 წელს, მოწინააღმდეგე მოძრაობის - „ფათჰის "ღაზას სექტორიდან გაძევების შემდეგ, ტერიტორიის უკონკურენტო მმართველადაც ჩამოყალიბდა. ჰამასის, როგორც პოლიტიკური ძალის აღმასვლას, რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი. არსებულმა მმართველმა ძალამ - პალესტინურმა განმათავისუფლებელმა ორგანიზაციამ (PLO) ვერ შეძლო მოსახლეობის საბაზისო სოციალურ-ეკონომიკური საჭირობების უზრუნველყოფა. თანდათან, პალესტინელებში გაჩნდა უნდობლობა არაბული სეკულარიზმის მიმართ, რომელმაც ვერც ფინანსური კეთილდღეობა და ვერც სასურველი პოლიტიკური შედეგები ვერ მოუტანა პალესტინას. ჰამასმა ისარგებლა არსებული პოლიტიკური კრიზისით - დაიწყო სოციალური პროგრამების შეთავაზება და მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაცია. შედეგად, პალესტინელებმა არჩევანი, საბოლოოდ, რელიგიის სასარგებლოდ გააკეთეს. სეკულარული პალესტინური ნაციონალიზმის წარუმატებლობის ფონზე გაძლიერებულ ფუნდამენტალისტურ ისლამურ ორგანზიაციას უნდა მიეღწია იმ პოლიტიკური მიზნებისთის, რაც ვერ შეძლო ნაკლებად რადიკალურმა პალესტინის განმათავისუფლებელმა ორგანზიაციამ (Scham & Abu-Irshaid, 2009, pp. 2-3).

2006 წელს, ღაზას სექტორში ჰამასის, როგორც პოლიტიკური ძალის ხელისუფლების სათავეში მოსვლამ, ისრაელ-პალესტინის კოფნლიქტი კიდევ უფრო გაამწვავა. ეკონომიკური სანქციებისა და პერიოდული სამხედრო ესკალაციის ფონზე, ღაზაში მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰამასის ხელმძღვანელობამ პირველი მასობრივი პროტესტი, 2019 წლის მარტში, არსებული რეჟიმის წინააღმდეგ წარმატებით ჩაახშო, თვითონ ფაქტი მთელი რიგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა (Abuheweila & Kershner, 2019). ცალსახაა, რომ ჰამასი კარგავს პოპულარულობას, რაც უახლოეს მომავალში აუცილებლად გამოიწვევს ფინანსური შესაძლებლობებისა და ადამიანური რესურსების დაკარგვას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - ჰამასის, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციის ქმედუნარიანობის შემცირებას.

მოკლე ისტორიული დისკურსი და ჰამასის იდეოლოგია

1987 წელს, შეიხ აჰმად იასინმა დააარსა ისლამური სამხედრო ორგანიზაცია Harakat al-Musqawamat al-Islamiyyah (ისლამური წინააღმდეგობრივი მოძრაობა), იგივე ჰამასი, რომლის მიზანიც უნდა ყოფილიყო ებრაული სახელმწიფოს განადგურება და მის ადგილას პალესტინური სახელმწიფოს აშენება - ხმელთაშუაზღვიდან იორდანიის მდინარემდე. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის შექმნიდან სამი დეკადის შემდეგაც, მთავარი მიზანი დღემდე უცვლელი რჩება (Gray, 2010, გვ. 125).

დაარსებიდან რამდენიმე თვეში, ჰამასმა გამოაქვეყნა წესდება, სადაც საუბარია ორგანიზაციის იდეოლოიგიაზე, სამხედრო და პოლიტიკურ ამოცანებზე. 1988 წლის წესდების მეორე მუხლი ღიად საუბრობს ჰამასისა და ეგვიპტური მუსლიმთა საძმოს კავშირებზე, რომელიც დამფუძნებლების მიერ მოხსენიებულია, როგორც იმ დროისთვის უდიდესი ისლამური ორგანიზაცია. აღსანიშნავია, რომ ჰამასის დამაარსებელმა, აჰმედ იასინნა, განათლება ეგვიპტის უნივერსიტეტში მიიღო, რამაც დიდი როლი ითამაშა მისი, და შემდგომში ჰამასის, იდეოლოგიური ჩარჩოს ჩამოყალიბებაზე.

წესდების პირველი მუხლი ჰამასს აღწერს ისლამურ ორგანიზაციად, რომელიც იმართება ისლამური მცნებებისა და ღირებულებების საფუძველზე. მართლაც, ჰამასის საბოლოო მიზანი იყო, არის და ყოველთვის იქნება რელიგიურ საწყისებზე დაფუძნებული. ამავე წესდების მე-8 მუხლის თანახმად, ყურანი ჰამასისთვის კონსტიტუციაა, ხოლო ჯიჰადი და ალაჰისთვის სიკვდილი ყველაზე ღირებული საქმიანობა.

ჰამასისთვის ჯიჰადი არის ერთადერთი გზა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ჰამასი 1988 წლის წესდების მეცამეტე მუხლში უარყოფს პალესტინის, როგორც მუსლიმებისთვის წმინდა მიწის გათავისუფლების მშვიდობიან გზებს. “შეთავაზებები, ინიციატივები და კონფერენციები, სხვა არაფერია, თუ არა აბსურდი და დროის ხარჯვა. პალესტინელ ხალხს აქვს უფლება იბრძოლოს საკუთარი უფლებებისა და თვითგამორკვევისთვის“, ნათქვამია მეცამეტე მუხლში (Scham & Abu-Irshaid, 2009, pp. 4-5).

მართლაც, შექმნის დღიდან დღემდე ჰამასი მუდმივ სამხედრო კონფლიქტშია ისრაელთან, თუმცა, ამ პერიოდის განმავლობაში განსხვავებული იყო ბრძოლის მეთოდები და ტაქტიკა. ისრაელის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში, თავდაპირველად, ჰამასი მხოლოდ სარაკეტო იერიშებით შემოიფარგლებოდა. მოგვიანებით კი, უკვე აქტიურ პრაქტიკად იქცა ებრაელი ჯარისკაცების გატაცება და მკვლელობა, ებრაელების ისრაელის ქუჩებში დანით დაჭრა და თვითმკვლელი ტერორისტების გამოყენება უფრო მასობრივი მსხვერპლის მისაღებად (Wayne, 2005, p. 2). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დღეს, ისრაელის სამხედრო შეიარაღება ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, მასთან კონვენციური ომის წარმოება ჰამასისთვის არარელევანტურია. მსგავს ასიმეტრიულ კონფლიქტში, ადამიანების გამოყენება, კერძოდ, თვითმკვლელი ტერორიზმი, როგორც ტაქტიკა, სტრატეგიულად უფრო გამართლებული და შედეგის მომტანი აღმოჩნდა. ჰამასმა თვითმკვლელი ტერორიზმი, როგორც პრაქტიკა, პირველად 1993 წლის აპრილში გამოიყენა, როდესაც ისრაელისა და პალესტინის ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერა ოსლოს შეთანხმებას. ჰამასმა დაგმო აღნიშული ხელშეკრულება, რადგან ამ გზით, პალესტინურმა განმათავისუფლებელმა ორგანიზაციამ ოფიციალურად აღიარა ისრაელი. ჩიკაგოს უნივერსიტეტის მონაცემებით, 1993 და 2015 წლებში ისრაელისა და პალესტინის ტერიტორიებზე თვითმკვლელი ტერორისტების აქტივობების შედეგად დაიღუპა 742, ხოლო დაშავდა 4,899 მშვიდობიანი მოქალაქე (Ahmed, 2015).

საბოლოოდ, ვერც ოსლოს შეთანხმებამ და ვერც სხვა მოლაპარაკებათა რაუნდმა ვერ უზრუნველყო პალესტინის სახელმწიფოს შექმნა. პროტესტმა ღაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე ერთიანად იფეთქა, რაც მეორე ინტიფადის დაწყების საფუძველი გახდა. 2000 წლიდან ჰამასის სამხედრო ბრიგადებმა ისრაელზე ასობით საჰაერო იერიში მიიტანეს. ერთ-ერთი, ყველაზე მძიმე, 2002 წელს კურორტ ნეთანიაზე სარაკეტო თავდასხმა იყო, რომელსაც 28 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. როგორც წესი, ისრაელის მხრიდან საპასუხო რეაქცია ბევრად უფრო მასშტაბურია, ჩართული ძალისა და მსხვერპლის რაოდენობის გათვალისწინებით. მეორე ინტიფადის დროს, ისრაელის თავდაცვის ძალებმა სადაზვერო ერთულებთან ერთად მოკლეს იმდროინდელი, ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი, მათ შორის, სამხედრო სარდალი სალეჰ შეჰადა და ჰამასის დამფუძნებელი შეიხი იასინი (Ahmed, 2015).

მეორე ინტიფადა, ოფიციალურად, არ დასრულებულა. ჰამასის პერსპეტივიდან დღემდე, გარკვეული პერიოდულობით, ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით კვლავ მიმდინარეობს საჰაერო რაკეტების გაშვება. მსგავს ქმედებებს ღაზას ტერიტორიაზე ისრაელის ჯარის შეყვანა და ათასობით ადამიანის სიკვდილი მოჰყვა 2006, 2008, 2012 და 2014 წლებში. მხოლოდ 2014 წლის კონფლიქტს, რომლის მიზეზიც ჰამასის მხრიდან სამი ებრაელი მოზარდის გატაცება და მკვლელობა იყო, დაახლოებით, 2000 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა (Ahmed, 2015).

2017 წელს, ჰამასის პოლიტიკურმა ლიდერმა, ხალიდ მეშალმა, დოჰაში ჩატარებული პრეს-კონფერენციისას წარადგინა ახალი დოკუმენტი, რომელიც არ ანაცვლებს 1988 წლის წესდებას, თუმცა მთელ რიგ საკითხებზე ფუნდამენტურად ახალ მიდგომას გვთავაზობს. ამ დოკუმენტით, ჰამასი ოფიციალურად გაემიჯნა მუსლიმთა საძმოს. აღნიშნული ნაბიჯის მიზანი ეგვიპტესთან და სპარსეთის ყურის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების გაუმჯობესება უნდა იყოს, რომლებიც მუსლიმთა საძმოს ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევენ (Hoffman, 2017).

ახალი დოკუმენტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ჰამასის შერბილებული დამოკიდებულება ისრაელის მიმართ. დოკუმენტი, ჰამასის ისტორიაში პირველად, განასხვავებს სიონიზმსა და ებრაელებს. ჰამასი ამტკიცებს, რომ კონფლიქტი სიონისტურ პროექტთან (ისრაელთან) აქვს და არა იუდაიზმთან. ამავდროულად, ჰამასი აღიარებს პალესტინის სახელმწიფოს 1967 საზღვრებით, მაგრამ ახალი დოკუმენტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ მოძრაობის მიზანი პალესტინური სახელწმიფოს შექმნაა „ზღვიდან მდინარემდე". გარდა ამისა, დოკუმენტი კვლავ არ აღიარებს სიონისტური „სუბიექტის", ისრაელის ლეგიტიმურობას (Hoffman, 2017).

2017 წლის დოკუმენტში ჰამასი, ასევე ღიად გამოთქვამს იმ სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილს, რომლებიც მხარს უჭერენ პალესტინელი ხალხის უფლებებს. სავარაუდოდ, მსგავსი პოლიტიკური გზავნილების გაჟღერებით, ჰამასმა კიდევ ერთხელ სცადა საერთაშორისო ლეგიტიმურობის მოპოვება და/ან რეგიონული და საერთაშორისო იზოლაციისგან თავის დაღწევა, რომელიც ღაზაში არსებულ მდგომარეობას, შესაბამისად, ჰამასის ლეგიტიმურობას, კიდევ უფრო ართულებს (Hoffman, 2017).

ღაზას სექტორი და არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონი

ღაზას სექტორი, იგივე ღაზა, არის ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული რეგიონი, რომელიც ესაზღვრება ეგვიპტეს (11 კილომეტრიანი საზღვარი) სამხრეთ-დასავლეთიდან, ხოლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან - ისრაელს (51 კილომეტრიანი საზღვარი). ღაზას ტერიტორია, ისევე როგორც დასავლეთ სანაპირო, დასახლებულია პალესტინელებით, სუნიტი მუსლიმებით, თუმცა ამ ორ ტერიტორიას საერთო სახმელეთო საზღვარი არ გააჩნია. ღაზას ტერიტორია სიგრძით 41 კილომეტრია, ხოლო მისი სიგანე 6-დან 12 კილომეტრამდე მერყეობს. დღევანდელი მონაცემებით, 362 კვადრატულ კილომეტრზე დაახლოებით 1,9 მილიონი პალესტინელი ცხოვრობს. შედეგად, ღაზა მსოფლიოში მე–3 ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიაა (BBC News, 2018). მაღალი შობადობის გამო, ნავარაუდებია, რომ 2020 წლის ბოლოსთვის მოსახლეობა 2.2 მილიონ ადამიანს გადააჭარბებს. ამ დროისთვის კი, შექმნილი მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ღაზაში ცხოვრება, შესაძლოა, შეუძლებელიც გახდეს. ისრაელისა და ეგვიპტის საზღვრის ჩაკეტვის, და ისრაელის საზღვაო და საჰაერო ბლოკადის გამო, ღაზას მოსახლეობას არ აქვს ტერიტორიის თავისუფლად დატოვების შესაძლებლობა, აკრძალულია პროდუქტის ექსპორტიც.

1967 წლის ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში ისრაელის გამარჯვებას მოჰყვა ღაზას სექტორის ისრაელის მხრიდან ოკუპაცია, რომელიც 2005 წლამდე გაგრძელდა. უფრო ადრე, 1950-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა შინაარსობრივად სეკულარულ, პალესტინის განმათავისუფლებელ მოძრაობას. მისი ერთ-ერთი დამაარსებელი პალესტინის ხელისუფლების გვიანდელი პრეზიდენტი - იასერ არაფატი იყო. მოძრაობის წევრებს მიჩნდათ, რომ ისრაელის წინააღმდეგ საბრძოლველად და პალესტინის სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად, უმთავრესი მეთოდი სამხედრო ბრძოლა იყო. თვითონ პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანზიაცია, იგივე ფათჰი, 1964 წელს შეიქმნა და დღეს, ის პალესტინელი ხალხის წარმომადგენელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ის პალესტინელი ხალხის წარმომადგენელია (Laub, 2014).

1990-იან წლებში, პალესტინის განმათავისუფლებელმა ორგანზიაციამ, ოფიციალურად, უარი თქვა კონფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრაზე და მხარი დაუჭირა გაეროს უშიშროების საბჭოს 242 რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებდა პალესტინის სახელმწიფოს აშენებას 1967 წლის საზღვრებზე (დასავლეთის სანაპირო, აღმოსავლეთი იერუსალიმი და ღაზა), ისრაელის სახელმწიფოს გვერდით. 1993 წელს ხელი მოეწერა ოსლოს შეთანხმებას პალესტინურ და ებრაულ მხარეს შორის, რამაც საფუძველი ჩაუყარა ეროვნული ხელისუფლების, ანუ პალესტინის მთავრობის შექმნას. სწორედ ფათჰი მართავდა ღაზას სექტორს 2006 წლის პალესტინის საკანონმდებლო არჩევნებამდე, რომელშიც ჰამასმა მოიპოვა გამარჯვება. თუმცა, დაძაბულობა ფათჰისა და ჰამასს შორის მალევე წარმოიქმნა, რადგან ჰამასმა უარი თქვა აღმოსავლეთ კვარტეტის (ევროკავშირი, რუსეთის ფედერაცია, გაერო და აშშ) მოთხოვნების შესრულებაზე, მათ შორის ისრაელის აღიარებაზე (Laub, 2014).

რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, 2007 წლის მარტში დაარსდა ერთიანი ეროვნული მთავრობა, რომელიც, სულ რაღაც, სამ თვეში პრეზიდენტმა აბასმა დაითხოვა. საბოლოოდ, ფათჰისა და ჰამასს შორის დაპირისპირება დასრულდა ფათჰის გაძევებით და ჰამასის მიერ ღაზას სექტორში ერთპიროვნული მმართველობის დამყარებით. განვითარებული მოვლენების შემდეგ, გაყოფილ ადმინისტრაციას შორის დაიწყო მოლაპარაკებების ახალი ტალღა და მთელი რიგი შეთანხმებების (კაიროს შეთანხმება 2011, დოჰას შეთანხმება 2012 და Beach Camp შეთანხმება

2014) მიუხედავად, ბოლო 12 წლის განმავლობაში, ჰამასმა და ფათჰიმ ვერ შეძლეს კონსესუსის მიღწევა და ერთიანი მთავრობის ჩამოყალიბება (Laub, 2014).

ღაზაში ჰამასის ერთპიროვნულ მმართველობას, რა თქმა უნდა, თან ახლავს თავისი ნეგატიური შედეგები. 2006 წლის შემდეგ, ქვეყანაში არ ჩატარებულა არჩევნები, რაც ეჭქვეშ აყენებს სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმურობას. ეკონომიკური ბლოკადისა და მწირი ფინანსური რესურსების ფონზე, ჰამასი ვერ უზრუნველყოფს საჯარო მოხელეების რეგულარულ ანაზღაურებას. რთულ მდგოამრეობაშია ჯანდაცვა და განათლების სისტემები, რადგან უმწვავესად დგას კვალიფიციური კადრების სიმცირის საკითხი. ჰამასი უფრო მეტ ინვესტიციას დებს ისრაელზე იერიშის მიტანაში, ვიდრე საკუთარი მოქალაქეების საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაში. მართლაც, ჰამასის ლიდერები ვერაფერს სთავაზობენ მოსახლეობას ანტი-ებრაული რიტორიკისა და ცარიელი დაპირებების გარდა (United Nation, 2017, p. 2).

შედეგად, 2019 წლის მარტში, საინტერესო და ამავდროულად, მძიმე მოვლენები განვითარდა ღაზას სექტორში. მოსახლეობა პირველად გამოვიდა ქუჩებში არსებული რეჟიმისა და მძიმე ეკონომიკური პირობების გასაპროტესტებლად. საპროტესტო აქციის მონაწილეებს ჰქონდათ პლაკატები წარწერით „ჩვენც გვინდა სიცოცხლე “. მიუხედავად იმისა, რომ ჰამასის ლიდერებმა შეძლეს მდგომარეობის განმუხტვა, ახალი საპროტესტო ტალღა შეიძლება ნებისმიერ დროს დაიწყოს. პროტესტის მიმდინარეობისას და მოგვიანებით, პრევენციის მიზნით, ჰამასის პოლიციამ დააკავა ათეულობით ადამიანი, მათ შორის, უფლებადამცველები და ჟურნალისტები - ყველა, ვინც ეჭვმიტანილია პროტესტის დაგეგმვასა და წახალისებაში. აღსანიშნავია, რომ ფათჰის ლიდერებმა სოლიდარობა გამოუცხადეს პროტესტის მონაწილეებს და აქციის ძალისმიერი დაშლისთვის კიდევ ერთხელ გააკრიტიკეს ჰამასი. ღაზას სექტორში მიმდინარე გამოსვლებს მალევე ეწოდა „მშიერი ხალხის რევოლუცია“, თუმცა, როგორც აღინიშნა, პროტესტს ხელშესახები ცვლილებები არ მოჰყოლია (Toameh, 2019).

მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ ფონს თან ერთვის სასმელი წყლის პრობლემაც. თუკი 2000 წელს, მოსახლეობის 98.3%-ს ჰქონდა წვდომა სასმელ წყალზე, 2014 წელს ეს რიცხვი 10.5%-მდე შემცირდა. მაშინ როდესაც, დასავლეთ სანაპიროზე სასმელ წყალზე წვდომა მოსახლეობის 97% აქვს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ადასტურებს, რომ სამომავლო პერსპექტივა საკმაოდ მძიმეა ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის - თუ არსებული რეჟიმი შენარჩუნდა, ასევე, ძალაში დარჩა საჰაერო და სახმელეთო ემბარგო ისრაელისა და ეგვიპტის მხრიდან, ვითარება კიდევ უფრო გაუარესდება (United Nation, 2017, p. 3).

ფაქტი	**2011/12**	**2016/2017**	**2020**
ღაზას მოსახლეობა	1.6 მილიონი	2 მილიონი	2.2 მილიონი
მოსახლეობის სიმჭიდროვე (ერთ კვადრატულ კილომეტრზე)	4.383 ადამიანი	5.479 ადამიანი	6.197 ადამიანი
უმუშევრობის დონე	29%	42%	44.4%
ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარში	1.165	1.038	1.058

ორგანიზაციული სტრუქტურა

ჰამასის ხელმძღვანელობა დაყოფილია მის საგარეო პოლიტიკურ ბიუროსა და ღაზაში არსებულ მთავრობას შორის, რომლის ამჟამინდელი ლიდერიც აჰია სინვარია. საერთაშორისო საზოგადოებისთვის, ისევე, როგორც პალესტინელების დიდი ნაწილისთვის, ლეგიტიმური ლიდერი, პალესტინის ოფიციალური პრეზიდენტი, მაჰმუდ აბასია.

ხშირად, ჰამასის ხელმძღვანელობის სახელები, ისევე როგორც სხვა მნიშნელოვანი ინფორმაცია ორგანიზაციის სტრუქტურის შესახებ, კლასიფიცირებულია და რთული დასადგენია - რეალურად ვინ აკონტროლებს ფინანსურ რესურსებს და ვის ხელშია რეალური ძალაუფლება. თუმცა, ცნობილია, რომ გადაწყვეტილების მიღებაში თანაბრად მონაწილეობენ სამხედრო, პოლიტიკური და რელიგიური ლიდერები. საერთო ჯამში, ჰამასი მოქნილი ორგანზიაციაა, რომელის მამოძრავებელი ძალა იდეოლოგიაა, და როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ერთი ან მეტი ლიდერის სიკვდილი, მიუხედავად იმისა, რომ აფერხებს ორგანიზაციის საქმიანობას, საბოლოოდ მის დაშლას არ/ვერ იწვევს.

პოლიტიკური ბიურო

ჰამასის პოლიტიკური ბიურო, უფლებამოსილების მხრივ, წამყვანი ინსტიტუტია. ამჟამად, მას ხელმძღვანელობს ისმაილ ჰანიეჰი, რომელმაც 2017 წლის მაისში ჩაანაცვლა ხალიდ მეშალი. სწორედ, ხალიდ მეშალი მოიაზრება შეიხ იასინის მემკვიდრედ, რომელიც ჰამასის დამაარსებლის გარდა, ორგანიზაციის პოლიტიკური და რელიგიური ლიდერი იყო. ბიუროს მთავარი ოფისი მდებაროებდა დამასკოში, სირიაში, მაგრამ სამოქალაქო ომის დროს, ოპოზიციური ძალებისკენ მიმხრობის გამო, პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა მოსთხოვა ბიუროს წევრებს ტერიტორიის დატოვება და დღეს, ჰამასის პოლიტიკური ბიურო საქმიანობას ყატარში განაგრძობს.

შურას საბჭო

გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო შურას საბჭოა (საკონსულტაციო საბჭო), რომლის წევრები ცხოვრობენ როგორც ღაზას შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. შურას დაქვემდებარებაშია მთელი რიგი კომიტეტები და ქვეკომიტეტები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ნებისმიერ მიმართულებაზე - სამხედრო ოპერაციებიდან დაწყებული, მედიასთან ურთიერთობით დამთავრებული (Counter Extremism Project, 2019).

ალ - ქასამის სამხედრო ბრიგადები

ჰამასის სამხედრო ფრთა, რომელიც ცნობილია იზ-ალ-დინ ალ-ქასიმ ბრიგადების სახელით, 1991 წელს დაარსდა. ბრიგადის ხელმძღვანელები, ხშირად, ჰამასის ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს. თუმცა, მსგავს რეალობას უარყოფდა ჰამასის დამაარსებელი შეიხი აჰმად იასინი, რომელიც ამბობდა, რომ ჰამასისგან სამხედრო ფრთის განცალკევება დანაშაულია, რადგან ჰამასი ერთი მთლიანობაა. ალ-ქასიმის ბრიგადების ერთ-ერთი, ყველაზე ცნობილი ლიდერი, მუჰამედ დიფია, რომელიც, მრავალჯერ

გადაურჩა ისრაელის მხრიდან მის წინააღმდეგ დაგეგმილ ოპერაციებს და დღეს, ეტლსმიჯაჭვული აგრძელებს საქმიანობას (Counter Extremism Project, 2019).

ჰამასის ძირითადი ტაქტიკა საჰაერო იერიშებია, შესაბამისად არსენალი, ძირითადად, შედგება მცირე და გრძელი მოქმედების რაკეტებისგან. მებრძოლების მთავარი იარაღი ამერიკული M-16 და რუსული AK-47-ია. დღესდღეობით, ნავარაუდევია, რომ ჰამასის შემადგენლობაში 20 000 მებრძოლია, ხოლო დანარჩენი 20 000 კი, პოლიციისა და უსაფრთხოების ძალებში ირიცხება.

ცნობილია, რომ ჰამასის ბრიგადების მეთაურები, საკმაოდ დიდი თავისუფლებით სარგებლობენ ოპერაციულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისას. მსგავსი მიდგომა საკმაოდ დიდ უპირატესობას სძენს ჰამასს, რადგან ომის დროს, როგორც წესი, კომუნიკაციის საშუალებები წყდება პოლიტიკურ ლიდერებსა და შუა რგოლის სამხედრო მეთაურებს შორის. თუმცა, რამე უპირატესობაზე საუბარი, მაინც გადაჭარბებულია, რადგან ჰამასის მოწინააღმდეგე ისრაელია - ქვეყანა, რომლის სადაზვერვო სამსახურები და თავდაცვის ძალები, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. როგორც წესი, ღაზადან გასროლილი რაკეტების უმრავლესობა ვერ აღწევს დანიშნულების ადგილს, რადგან ისრაელის ანტი-საჰაერო სისტემის - „რკინის თაღის“ გარღვევა, ფაქტოვრივად, შეუძლებელია (Wilson T. , 2015, p. 17).

ალ-ქასიმის ბრიგადების მხრიდან ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები:

- 1993 წლის 6 აპრილს, ჰამასმა აიღო პასუხიმსგებლობა ისრაელში მომხდარ ტერორისტულ აქტზე, როდესაც თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი საზოგადოებრივ ტრანსპორტში აიფეთქა. ამ დღის შემდეგ, ჰამასი აქტიურად იყენებს თვითმკვლელ ტერორისტებს საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მისაღწევად. იმის გათვალისწინებით, რომ ისრაელმა მაქსიმალურად გაამკაცრა უსაფრთხოების ზომები და ჰამასისთვის, შეუძლებელი თუ არა, ურთულესია ისრაელის ტერიტორიაზე შეღწევა, თვითმკვლელი ტერორისტების მხრიდან თავის აფეთქების ფაქტები, მეორე ინტიფადას შემდეგ, საგრძნობლად შემცირდა და 2016 წლის შემდეგ, მსგავსი შემთხვევა აღარ დაფიქსირებულა.

- 2000 წელს, მხოლოდ, მარტ-სექტემბრის პერიოდში, ჰამასმა განახორციელა 425 ტერორისტული აქტი, რომელსაც 377 ადამიანი ემსხვერპლა.

- 2001-2008 წლის შუალედში, ჰამასმა ისრაელის წინააღმდეგ 3000-ზე მეტი ქასამ რაკეტა გაისროლა .

- 2012 წელს, ჰამასმა მოწინააღმდეგის მიმართულებით 750 რაკეტა ისროლა, რასაც, ისრაელის მხრიდან, სახმელეთო ოპერაციის დაწყება მოჰყვა.

- 2019 წლის მაისში, ჰამასის წარმომადგენლებმა ორი ებრაელი სამხედრო დაჭრეს და სამი დღის განმავლობაში, 700-ზე მეტი რაკეტა გაისროლეს. საპასუხოდ, ისრაელმა, ჰამასის ერთ-ერთი ლიდერი, აჰმედ ალ-ხოდარი და რამდენიმე ჰამასის მებრძოლი მოკლა. ეგვიპტის მხრიდან ორგანიზებულ მოლაპარაკებებს მოჰყვა ცეცხლის შეწყვეტა ორივე მხრიდან, თუმცა ჰამასის განცხადებით, ბრძოლა ისრაელის წინააღმდეგ გაგრძელდება (Counter Extremism Project, 2019).

ფინანსური მხარდაჭერა და უცხოური ინვესტიციები

ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ, ჰამასის შემოსავლები და დაფინანსების წყაროები, ხშირად, უცნობია. კონგრესის კვლევითი ცენტრის თანახმად, 2010 წელს, ღაზას ზონაში ჰამასის ყოველწლიური ბიუჯეტი დაახლოებით $320 - 540 მილიონი აშშ დოლარი იყო (Zanottii, 2010, გვ. 20). 2019 წლის ბიუჯეტის ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა, ცნობილია, რომ ბიუჯეტის დიდი ნაწილი, დაახლოებით 100 მილიონი აშშ დოლარი, იხარჯება სამხედრო ოპერაციებზე, მათ შორის 40 მილიონი დოლარი ისრაელი-ღაზას საზღვარზე - გვირაბების მშენებლობისთვის. გარდა სავარაუდო, 170 მილიონი აშშ დოლარისა, რომელიც შიდა გადასახადების შედეგად გროვდება, ჰამასი, ასევე იღებს ფულს გარე წყაროებიდან, მაგალითად, მუსლიმთა საძმოსგან, კერძო პირებისგან და ორგანიზაციებისგან, სახელმწიფოებისგან და სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებისგან, რომლებიც დღესაც ფუნქციონირებენ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში (Counter Extremism Project, 2019).

ორგანიზაციის ისტორიის დასაწყისში, იორდანიულმა მუსლიმთა საძმომ, ისლამურმა მოძრაობებმა ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, ყატარში, სუდანში, ალჟირსა და ტუნისში, ასევე, ისლამურმა თემებმა და ორგანიზაციებმა შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა გაუწია ჰამასს.

ჰამასის ურთიერთობა საუდის არაბეთთან და სპარსეთის ყურის სახელმწიფოებთან მას შემდეგ გაუარესდა, რაც ჰამასი შეეწინააღმდეგა დასავლეთის ქვეყნების ჩარევას ერაყ-ქუვეითის კონფლქტში, 1990-1991 წლებში. სამაგიეროდ, ამ პერიოდში, ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ირანთან. შედეგად, ჰამასმა ოფისი გახსნა თეირანში. ირანის მხარდაჭერა მოიცავდა, არა მხოლოდ ფინანსურ კომპონენტს, არამედ შეიარაღების მიწოდებასა და ჰამასის მებრძოლების, როგორც ირანში, ისე პრო-ირანულ ჰეზბოლას ბაზაზე გადამზადებას (Levin, 2018).

შემოწირულობა

მოწყალების გაღება, იგივე „ზაქათ", ისლამის მიხედვით, თითოეული მუსლიმის მოვალეობაა. წლების განმავლობაში ჰამასთან დაკავშირებული საქველმოქმედო ორგანზიაციები მსოფლიოს მასშტაბით აგროვებდნენ, და დღესაც აგროვებენ შემოწირულობას. ეს საქველმოქმედო ორგანიზაციები ოპერირებენ, მათ შორის, იმ ქვეყნებში, სადაც ჰამასი ტერორისტული ორგანიზაციად არის აღიარებული. მაგალითად, კანადაში, სადაც საგამოძიებო სტრუქტურებმა აღმოაჩნიეს, რომ დაახლოებით 14,6 მილიონი დოლარი კანადიდან ღაზას სექტორში საქველმოქმედო ორგანზიაციების მეშვეობით იყო გაგზავნილი (Counter Extremism Project, 2019).

იმავდროულად, ამერიკის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (FBI) აღმოაჩინა, რომ ჰამასი, დაარსების დღიდან ახორციელებდა აშშ-ს მიწაზე რეკრუტირებას და ფულადი სახსრების შეგროვებას. ჰამასის დაფინანსების სავარაუდო კერა ტეხასის შტატში განთავსებული საქველმოქმედო ორგანიზაცია „წმინდა მიწის ფონდი" იყო, რომელსაც ასევე ჰქონდა ოფისები კალიფორნიაში, ნიუ ჯერსისა და ილინოისის შტატებში. 2001 წელს შეერთებულმა შტატებმა გაყინა ფონდის ფინანსები და მისი ხუთი ლიდერი ტერორიზმის წახალისებისთვის გაასამართლა (Zanottii, 2010, გვ. 41).

მეორე ინტიფადის დროს, საუდის არაბეთის, ლიბანის და სხვა მთავრობების მიერ შექმნილი საქველმოქმედო ორგანიზაციები, ასევე, საკმაოდ დიდ შემოწირულობას უგზავნიდნენ ჰამასს. 2014 წლის 22 სექტემბერს, 10-წლიანი სამართლებრივი პროცესის დასრულების შემდეგ, აშშ-ს სასამართლომპასუხისმგებლობა დააკისრა არაბულ ბანკს, ჰამასის ტერორისტული საქმიანობისთვის ფინანსურ მხარდაჭერაში.

გადასახადები და გვირაბის ეკონომიკა

ჰამასს, წლების განმავლობაში გაჰყავდა გვირაბი ეგვიპტის საზღვარზე იარაღისა და სხვა საქონლის კონტრაბანდის მიზნით. 2012 წელს, მინიმუმ 160 ბავშვი ემსხვერპლა მსგავსი გვირაბების გათხრას. ღაზასა და ეგვიპტს შორის მიწისქვეშა კონტრაბანდის გვირაბებმა, დამატებითი შემოსავალი უზრუნველყო ჰამასის ეკონომიკისთვის. 2013 წლის ბოლოს ეგვიპტის მთავრობამ გვირაბები დახურა.აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ღაზა უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისში ჩააყენა (Counter Extremism Project, 2019).

კრიპტოვალუტა

საერთაშორისო სანქციებისგან გამოწვეული გავლენის შემსუბუქების მიზნით, ჰამასი აქტიურად იყენებს კრიპტოვალუტას, რადგან ამ უკანასკნელის კონტროლი, ტრადიციულ ვალუტასთან შედარებით, ბევრად რთულია. ქასიმ ბრიგადების ვებ-გვერდებზე განთავსებულია ანიმაციური ვიდეო, რომელშიც დეტალურად არის ახსნილი, თუ როგორ უნდა შექმნან მომხმარებლებმა Bitcoin საფულე და გააკეთონ ანონიმური შემოწირულობა ჰამასისთვის. საიტი ხელმისაწვდომია მრავალ ენაზე, მათ შორის, ინგლისურ, არაბულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე. ტერორიზმის ექსპერტების თანახმად, ბიტკოინი არის პატარა, მაგრამ მზარდი საშუალება ტერორიზმის დაფინანსებისთვის (Wilson & Williams, 2019).

ირანი

1990–იან წლებში, ირანი ასობით მილიონი დოლარით დაეხმარა ჰამასს. კრიტიკული იყო ირანის მხარდაჭერა 2006 წლის არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ მდგომარეობა შეცვალა სირიის სამოქალაქო ომში ჰამასის მხრიდან ოპოზიციის მხარდაჭერამ.

სავარაუდოდ, ჰამასმა და ირანმა ურთიერთობა 2017 წელს კვლავ აღადგინეს. ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, მხოლოდ 2018 წელს, ირანი ჰამასს, დახმარების სახით, თვეში 30 მილიონ დოლარს ურიცხავდა. ირანის მთავარი მოტივი ისრაელზე საჰაერო იერიშის მიტანა და საჭირო სადაზვერვო ინფორმაციის მოგროვებაა. აღსანიშნავია, რომ ირანი შიიტური სახელმწიფოა, ხოლო ჰამასი სუნიტური ორგანიზაცია. თუმცა, ჰამასისა და ირანის გადაკვეთის წერტილი ისრაელია, რადგან ამ უკანასკნელის განადგურება ორივეს უმთავრესი ამოცანაა (Counter Extremism Project, 2019).

ყატარი

ყატარი, სპარსეთის ყურის პატარა, მაგრამ - უმდიდრესი სახელმწიფო, აქტიურად აფინანსებს ჰამასს. 2018 წლის ნოემბერში ყატარმა 15 მილიონი აშშ დოლარი გადაურიცხა ჰამასის მთავრობას საჯარო მოხელეების ხელფასების გადასახდელად. აღსანიშნავია, რომ ყატარის მთავრი მოთხოვნა გაღებული თანხის სწორი ხარჯვა და იმაში დარწმუნებაა, რომ საბოლოოდ, მილიონობით დოლარი ჰამასის სამხედრო დანაყოფების ხელში არ აღმოჩნდება.

ფინანსური დახმარების გარდა, ყატარი უზრუნველყოფს თავშესაფარს ჰამასის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის. 2015 წლის იანვარში, ყატარის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჰამასის პოლიტიკური ბიუროს ხელმძღვანელი, ხალიდ მეშალი, ქვეყნის „ძვირფას სტუმრად" მოიხსენია. ჰამასი დღესაც აქტიურად იყენებს ყატარის ტერიტორიას კონფერენციების ჩასატარებლად და ოფიციალური შეხვედრების გასამართად (Wintour, 2017).

საუდის არაბეთი

მეორე ინტიფადის დროს, საუდის არაბეთმა ჰამასს, ქველმოქმედების სახით, მილიონობით დოლარი შესწირა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დეკლასიფიცირებული დოკუმენტების თანახმად, საუდის არაბეთმა, ასობით მილიონი დოლარი გადაურიცხა, უშუალოდ თვითმკვლელი ტერორისტების, შეტაკებების, ავიაიერიშებისა თუ სხვადასხვა მიზნით დაღუპული და დაჭრილი პალესტინელების ოჯახებს (Counter Extremism Project, 2019).

ჰამასის მომავალი

მიუხედავად მწვავე ეკონომიკური და სოციალური ფონისა, ჰამასი რჩება ღაზას სექტორის დე-ფაქტო მმართველად. მოსახლეობის პროტესტი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, რომლის დამსახურებაცაა ტერიტორიის ეკონომიკური და პოლიტიკური ბლოკადა, გაგრძელდება, თუმცა, უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი და ძირეული ცვლილებები ნაკლებად არის მოსალოდნელი.

ჰამასის სიცოცხლისუნარიანობის მთავარი იდეა არის ისრაელის განადგურება და მის ადგილას პალესტინური სახელწმიფოს შექმნა - ხმელთაშუაზღვიდან იორდანიის მდინარემდე, და მომავალი თაობების ინდოქტრინიზაცია. ღაზას სექტორში, სკოლის მოსწავლეები პირველივე კლასიდან ეჩვევიან სიძულვილის ენას, იზრდებიან ანტი-სემიტურ განწყობებით და სწავლობენ, რომ ჯიჰადი თითოეული მუსლიმის ვალდებულებაა. შესაბამისად, ჰამასის დამარცხებისთვის მისი ლიდერების ან მებრძოლების სიკვდილი არ არის საკმარისი. საჭიროა რეგიონში სეკულარული ორგანიზაციების მხარდაჭერა და ჰამასის, როგორც პოლიტიკური ძალის განეიტრალება. პოლიტიკური ძალაუფლების დაკარგვა და მომავალი თაობების გაზრდა უფრო სეკულარულ გარემოში, აუცილებლად შეამცირებს ჰამასის მხარდაჭერას როგორც ღაზას შიგნით, ისე საზღვარგარეთ მცხოვრებ პალესტინურ დიასპორაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Abuheweila, I., & Kershner, I. (2019, March 24). *Hamas Crackdown on Gaza Protests Instills Fear*. Retrieved from The New York Times : nytimes.com

Ahmed, M. (2015, October 15). *What is Hamas?* Retrieved from Tony Blair Institute for Global Change: institute.global

BBC News. (2017, May 12). *Profile: Hamas Palestinian movement*. Retrieved from BBC: bbc.com

BBC News. (2018, May 15). *Israel-Palestinian conflict: Life in the Gaza Strip*. Retrieved from BBC: bbc.com

Counter Extremism Project. (2019). *Hamas.* Retrieved from Counter Extremism Project: counterextremism.com

Gray, A. (2010). HAMAS: Non-Violent Political Activities. *Global Security Studies, 1*(3), 125-129.

Hoffman, A. (2017, May 4). *The 'Hamas Document' and the Muslim Brotherhood: Ideological or Political Shift?* Retrieved from Tony Blair Institute for Global Change: institute.global

Laub, Z. (2014, August 1). *Hamas.* Retrieved from Council on Foreign relations: cfr.org

Levin, D. (2018, July 09). *Iran, Hamas and Palestinian Islamic Jihad.* Retrieved from United States Institute of Peace: iranprimer.usip.org/

Scham, P., & Abu-Irshaid, O. (2009). *Hamas Ideological Rigidity and Political Flexibility.* Washington: United States Institute of Peace.

Toameh, K. A. (2019, August 13). *Can Palestinians in Gaza Revolt Against Hamas?* Retrieved from Gatestone Intitute International Policy Council: gatestoneinstitute.org

United Nation. (2017). *Gaza Ten Years Later.* United Nation.

Wayne, A. (2005, July). Suicide Terrorism as Strategy: Case Studies of Hamas and the Kurdistan Workers Party. *Center for Contemporary COnflicts, Strategic Insight, IV*(7).

Wilson, T. (2015, March). *Hamas Today: An Assessment of Alliances and Capabilities.* Retrieved from Centre for the New Middle East: henryjacksonsociety.org

Wilson, T., & Williams, D. (2019, April 26). *Hamas shifts tactics in bitcoin fundraising, highlighting crypto risks: research.* Retrieved from Reuters: reuters.com

Wintour, P. (2017, May 1). *Hamas presents new charter accepting a Palestine based on 1967 borders.* Retrieved from The Guardian: theguardian.com

Zanottii, J. (2010, December). *Hamas: Background and Issues for Congress .* Retrieved from Congressional Research Service: 02